

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (№07-1/364, 19.10.2006) „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 17 წევრისაგან შემდგომი შემადგენლობით:

**ნოდარ გრიგალაშვილი** – საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)

**ლევან ბეჟაშვილი** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

**გიორგი ბოკერია** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**კონსტანტინე გაბაშვილი** – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე

**ზურაბ დავითაშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ზურაბ დეკანოძე** – საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე

**გოჩა თევდორაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ნინო კალანდაძე** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**მამუკა კაციტაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**დავით კერესელიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

**კახა კუკავა** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ალექსანდრე (კახა) ლომია** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

**ირინე ქურდაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**პაატა ქურდოვანიძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**თეიმურაზ ჭეიშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**გია ხუბუა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

**გია ხუროშვილი** – საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარის მოადგილე **მ. მაჭავარიანი**

თბილისი,

2006 წლის 24 ოქტომბერი.

№3574–III